საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბრძანება № 01-08/38

20 აგვისტო 2012 წ. **ქ. ბათუმი**

„2012-2013 სასწავლო წლისათვის რსუ-ს სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებზე მაგისტრანტობის კანდიდატთა რეგისტრაციის და მისაღები გამოცდების ორგანიზების შესახებ“ 2012 წლის 09 აგვისტოს №01-08/33 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, „სამაგისტრო გამოცდების ჩატარების დებულებისა და სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის განაწილების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 22 აპრილის №227 ბრძანების მე-5 მუხლის მე-8 - მე-11 პუნქტების, 29-32 მუხლების, რსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, რსუ-ს აკადემიური საბჭოს 2010 წლის 23 ივლისის №83 დადგენილებით დამტკიცებული „შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრატურაში მიღების წესის“ შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შეტანილი იქნეს ცვლილება „2012-2013 სასწავლო წლისათვის რსუ-ს სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებზე მაგისტრანტობის კანდიდატთა რეგისტრაციის და მისაღები გამოცდების ორგანიზების შესახებ“ რსუ-ს რექტორის 2012 წლის 09 აგვისტოს №01-08/33 ბრძანებაში. კერძოდ კი, ბრძანების მე-6 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,6. 2012 წლის 14 სექტემბერს ფაკულტეტების დეკანებმა წარმოადგინონ იმ პირთა სია, რომლებიც მოიპოვებენ შესაბამისი ფაკულტეტების სამაგისტრო პროგრამებზე ჩარიცხვის უფლებას, რის საფუძველზეც გამოიცეს მაგისტრანტობის კანდიდატების შესაბამის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის შესახებ რსუ-ს რექტორის ბრძანება”.

2. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორი, პროფესორი **ა. ბაკურიძე**